

თპუ  
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭო  
სხდომის ოქმი №07

თბილისი

19 მარტი 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ილიონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი,

სტუდენტები: თ.ჩადუნელი, თ. სიმეაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილიონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, შოფიგ ჯაფაროვის, თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს:

თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორის ილიონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შოფიგ ჯაფაროვ არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2002 წელს დაამთავრა ბეილაგანის რაიონის ნალახვერდიევას სახ. №1 საშუალო სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 12 მარტის №257 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე შოფიგ ჯაფაროვ ჩარიცხება თპუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე.


აზრი გამოთქვა:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. შოფიგ ჯაფაროვს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. გაუფორმდეს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება 2015-2016 წლის სამემოდგომო სემესტრიდან;
3. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი საკითხის ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:



ი. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:



გ. გრიგორიანი